

# კ ვ ა ლ ი



სალიტმერატურო და სამეცნიერო ნახატბიანი გაზეთი. გამოსვლის ყოველ კვირა დღეს.

№ 17.

აპრილი 17, 1894 წ.

№ 17

**შენიშვნა:** სააღდგომოდ ჩოხაჯერელისა. — გაზაფხულს პირი, ღვესი პოდლეკისა. — საყურადღებო ამბები. — „მოამბის“ პუბლიცისტიკა პ. ჰერისისა. — ქრისტე აღდგა, ღვესი აკაკისა. — სასიამოვნო შემთხვევა ნ. წ. — ცალია და მისგან მანგანოლოზა ს. ღონდაისა — ნე ახსდი ნამესს! იღ. ელფორისა. — სახეარო გასართობი: აღუუ! ცეკოსი. — კერძო განცხადება.

## ს ა ა ღ გ ო მ ო დ

(გურული სენა)

ი, დიდებული ბრწყინვალე აღდგომა! საღვთისწულთა ღვთისმშობლის მიწიერულში ყველა მართლმადიდებელი ალტაყებით ელოდა ამ ბრწყინვალე ქრისტეს აღდგომას. იენიკა ფთხილაძის ენა-მოაზრებულ ბავშვებს გული მისდობდათ წითელი შილიაის პერანგების ჩაცმადის და წითელი კვერცხის ერთი მეორეზე დაჭახუნებამდის.



„აჰა, ბაბა, აღდგომა ამაღამ „ოჯინჯალაზე“ არისო, დედა გვეუბნება, გათენდება, თუ არა, ძირს დაეშვებაო და ლაღო პერანგებსაც მაშინ ჩაგაცმეო.“ ამის სიხარულით ბავშვები, მთელი ღამე მტრედებივით ღუღუნებდნენ და სიხარულისაგან აღარ ეძინათ.

დადგა ყოველად სასიამოვნო თექვსმეტი აპრილის საღამო: მოწმენდილს ცას კაჟაში გაჰქონდა, ურიცხვი ვარსკვლავები გადაჭედული იყო. თბილი სამხრეთის ნაივი ჰქოდა და ახლად ამწვანებულს ნორჩს ფოთლებს აბრუნებდით შრიალ-შრიალი გაჰქონდა, ასე გვეგონებოდათ ქრისტეს აღდგომის გალობის ბანს ეუბნება ახალგაზდა კეკელუა გოგონებსაო.

აგერ მთის წვერიდან ქვეყნის მნათობმა მთვარემ ამოჰყო თავი და ამპარტუნულად დასცქეროდა მაღლიდან მთელს დედამიწას. მისი ძლიერი ბრწყინვალება სხივები, თითქოს სამარემდის სწვდებოდა და ცისკრის მოსასმენად მიცალღებულის სულს აღიძვებდა.

ამასობაში იენიკა ფრთხილამეძაც წამოიძახა თავისებურად: აჰა, ამოკოტრიალდა დიდი ალიონის ვარსკვლავი და აწ მალე გათენდებაო. ამ სიტყვების გამგონე ბავშვებმა აცქეტეს ყურები.

ამ დროს ალიონმა ამოჰფერა; ცა აღმოსავლეთით სისხლის ფრად აპრილდა, მთითქოს იმასაც აღდგომის კვერცხებივით ჰიის ფერი შეუცხიაო.

იენიკას მეთვლემე, სახელად მინატრემ, გამო-

ასკენიწილა თავისი უფროსი ვაჟი, ლომინი, ეს საი-  
მელა ოჯახის სამიწველი.

ივანიძე გამოიტანა პირველად დამაზა და ფი-  
შტო, რაღაც წითელ ბოხნაში შეხვეულები, ჩამოი-  
კიდა წითელ ტანისამოსზე, რომელიც იყო სირმებით  
ნაქარგი; აუარება ბუზმენტებში შეხვეული რაღაც-  
რაღაცები ჩამოიკიდა წელზე.

ამასობაში მშემაც ამოაჟიკტა; იმან თანდათან  
წამოიწია და სხვა-და-სხვა ფერების ცელით ამო-  
გორდა ცაზე, გვერანებოდა თითქოს ისიც მხიარუ-  
ლია და ლექვის თამაშობს ამ ბრწყინვალე აღდგო-  
მასა.

დიდი და პატარა ეკლესიანზე მიეშურებოდნენ.  
ივანიკა ფთხილაძეც, რასაკერძეელია, ერთი პრანჟუ-  
გრეხით ვადაჯგინული გაეშურა თავისი ლამაზი ოჯა-  
ხობით ეკლესიაში. შვიდა თუ არა წმინდა ტაძარ-  
ში, ზრდილობიანად ჩვეულებისამებრ თავი დაუკრა  
პირველად მანდილოსნებს და მერმეთ კაცებს და კუ-  
თხეში გაჩერდა; ამ დროს შესძახა დედულმა: „ქრის-  
ტე აღდგაო!“ და გამოჰძღვა ხალხს სალიტანიოთ.  
ლიტანიას მოაყოლა ჯერ ცისკარი და მერე წირვა.  
ბოლოს წირვა რომ გამოვიდა ეკლესიის გაღავენი  
ირველივე თოფებით იყო შამოფარგულული, ასე გე-  
გენებოდათ ხალხი სამშობლოს დასაცველად გამო-  
სულა საომარად და ბრძოლის წინ ეკლესიაში  
ღმერთს ევედრებინა, რომ გამარჯვება მიანიჭოსო.  
ერთიც ენახათ, გაეარდა ყველაზე უწინ ივანიკა  
ფთხილაძის მაჭახელია და თან მიაყოლეს სხვებმაც  
გვახა-გუხით თოფები. ისეთი კომლი დადგა, რომ  
კაცი ევლარას დაინახავდა. ამ დროს ერთმანად ქა-  
ლებმაც მიაყვირეს „ეი!“ მტერს, ქვა და ლოდი ჩვენს  
მოშურენს და ჩვენის მამულის ამოხრებულს“.   
იმათაც ურისებვი ქვები გაისროლეს თოფების მაგიე-  
რად, ასე გვერანებოდათ სწორედ მამულის ამოხრე-  
ბელს მტერს უტქერიანო და იმათ ქვებით ჰქოლა-  
ვენო. ამას შემდეგ შეიქნა ერთი კოცნა, კვერცხების  
ტყაუტყუე, „ქრისტე აღდგას!“ გალობა და სხვა მრავ-  
ალი მხიარული სიმღერა.

სხვათა შორის მეც ვიყავ მათ რიცხვში, მა-  
გრამ საუბედუროდ ჩემდა რაღაც დაკურნული ნა-  
სერთუკლი მეცეა და დამუთხლო ქათამივით განზე  
ვიდექი. აბა, რა შნო ექნებოდა ყვერა რომ ფარშა-  
ვანგებში გავრეულიყავი. ამ დროს მე ვიყავი გაბლუ-  
ცებული და გალაენის კუთხეში ატუხული. გაკეთდა  
წრე, დაეწყენ გუნდ-გუნდათ, იწყეს სიმღერა და  
ტაშის ცემა; პატარა კოპწია გავრანები მტრედის  
გუნდივით მოგოგედნენ ახლად ამწვენებულს ევლზე,  
ცეკვა-თამაშით და იწვედნენ სამხიარულად გიშრის  
წვერულღევიანი ახალგაზდა ვაჟებსა. ივანიკა ფთხი-

ლაძე ამას ნაირად უქცევდა ხმას და აკრიმანჭულე-  
ბდა სიმღერებს.

მათზე რომ ეკლესია იყო, იქიდან ჩამოეფინენ მინ-  
დრათ. ამ ქმარავალ შეჩერდნენ და საერთო მოლა-  
პარაკება გამართეს, რომ სადილს შემდეგ მოგროვე-  
ლიყვენ მახლობელს მინდორზე სათამაშოდ.

დადგა საზოგადო მხიარულება. სოფელში ყო-  
ველ ოჯახიდან მოისმოდა „ქრისტე აღდგა“, მრავალ  
ქამიერი. საათის ოთხიდან სხვა-და-სხვა ახალგაზდა  
ქალების, ვაჟების, მოხუცებულების და ბავშვებისა  
გამოშურენ ტრიალ მინდღირისაკენ, სადაც ყოველ  
წლიური თამაშობა იციან...

შეიკრიბენ ამ თვალ უწევდნენლს ახლად ამწვა-  
ნებულს მინდორზე, დაეწყენ გუნდ-გუნდად და გაა-  
წყეს ცეკვათამაში. სხვათა შორის ივანიკა ფთხი-  
ლაძეც თამაშობდა. ეს ორმოცდაცხრა წლის კაცი  
ისე მხიარულებდა, როგორც ოცი წლის ჰბბუკი:  
გამოუქროლებდა შეეარდნისათუ საუკეთესო კქ-  
ლუც გოგონას და დაიწყებდა შნოიანად მასთან ცე-  
კვას.

აი, მზემაც გადიხზარა. ცოტახანს იქით, კიდეც  
ჩავიდა, თითქოს ნანობდა, რომ შორდებოდა ასეთს  
ხალხის მხიარულებას. ამასობაში რაღაც ხრილი  
შეიქნა!—ერთიც ენახათ, ავტო მინდორზე მიიგო-  
რებს ღიად წითელ მეშის ბურთის ჩეჩენი ყოჩაღი ივა-  
ნიკა ფთხილაძე და როგორც კალა მხტის და  
გაჟიკის: „აბა, ბიჭებოგო“. მას დაედევნენ სხვებაც,  
ისერიან ამ უზნარ-მზნარ მეშის ბურთს, რომელიც  
სიმამით ფუთი იქნებოდა, თითქოს ნივების კაკალი  
ყოფილიყოს, ხან ერთი წააელებს ბურთს ხელს,  
ხან მეორე, სრესენ და ჰკლეფენ ერთმანეთს ხელიდან.  
ამ თამაშობამ მთეწარის ამოხელამდის გასტანა, მაგრამ  
ბურთი ვერც იქით წაიღეს და ვერც აქით. ბოლოს  
ივანიკა ფთხილაძე თავისებურ მოხერხებულად მო-  
იქცა, გაიხედ-გამოიხედა, იშოვნა დრო და ერთს  
დიდს ტბაში დაგეფა მოადენინა ბურთს და თეთით  
ნაც შიგ ჩაჰყვა. აბა, რომელი ახალგაზდა გასწირა-  
ვდა ასე თავს. ცოტახანს იქით გაავდო ტბის კიდე  
ზე ბურთი ივანიკამ და თითონაც თან გაჰყვა. ამო-  
წყმპლული ივანიკა მიზრბის ბურთით ხელში და  
მიხტის მინდღირის ბოლოზე. დასჟიკილა ივანიკამ:  
„ლელოო!“ და გაავდო ბურთი. დასძახეს სხვებმა  
ურა! და თან რამდენმა კაცმა თოფებიც მიაყოლეს.

გათვდა თამაში, ხალხი მწკრივად დაბრუნდა  
ასპარეზდნად ცეკვა-თამაშით. ბოლოს მძერი სიყე-  
რულით გადაკოცნეს ერთმანეთი და თეიანთ სახლუ-  
ბში წაიღენ. ერთგან კირილ მთის ძირელის ცხოს  
მახლობლად ივანიკა ფთხილაძემ დაიძახა:—მარიამ!  
ერთი ჰიქა ლენო მომაწორე, ორიოდენ სიტყვას

ეიტყვი ჩენი შეენიერი სამშობლოს შესახებ. სტუმრის ბრძანება მსწრაფლ შეასრულეს და დიდი ყანწით მობრუნდნენ შუშხუნა ჩხავერის წვენი. ივანიკამაც აიღო ხელში ყანწი და თქვა: „აბა, ძმებო, დებო, და შეიღებო!“ ამ სიტყვებზე ასწია მალა ხელი საესე ყანწით და წამოიძახა: „ამ ხელზე ხომ ხუთი თითი მამია“. დიად, ერთხმად მიძახეს იქ მაცურებლებმა. „აბა, ზეცის მამის წინაშე ვითხოვ, რომ ამ ხუთ თითსავეთ გვექანდეს ერთობა და ძმობა ყველა ქართველებს და ჩენ ძმებს: აფხაზთა, ოსთა და ლე-

კთა, ვიყოთ ძმები და ერთმანეთის დამხმარე. როგორი თვისებითაც დღეს ვიყავით ყველა აქ ბრძანებული, ისე ეყოფილიყოთ ყოველს საკეთილდღეო ასპარეზზე მამულის სასარგებლოდ“. ყველამ ერთად, დიდმა, თუ პატარამ, დასტყვილეს „ეაშა, ეაშაო!“ იქ რომ ყოფილიყავით, მკითხველო, ასე გეგონებოდით, ეს არის, მზათ არიან მტრის შესამუსერებლათაო.

დ. ჩხაჭავაძე

## გ ა შ ა უ ხ უ ლ ი ს პ ი რ ი

### I



შე დედამიწას შემოსწორა  
და აღარ გამოუდარა;  
ცივმა ზამთარმა თოვლ-ბუქი  
მოსდო და შეასუღარა.

ეუბნებოდა: „დაგზნობა,  
სულს შეგინუთავ დარდითო;  
ნუ ფიქრობ, შენი გულ-მკერდი  
კვლავ მორთო ია-ვარდითო!“

შეკრთა საზრალთა და თოვლ-ქვეშ,  
ჩაფიქრდა ბედის მგომბელი;  
მაგრამ შორიდან მოესმა  
ხმა გულის დამართობელი:

„მე გაზაფხულის სული ვარ,  
მზისგან ვარ მონაშუქიო,  
მისთვის მოვდივარ, რომ მოესპო  
მაკ ზამთრის ნამქერ-ბუქიო!

ბედი კვლავ გამოგილიმებს,  
ხელს მოგცემს მეგობრულსაო  
და ზურმუხტ-მწვანე მდელითი  
მოგიხავერდებს გულსაო!“

იმედმა გამოაფხიზლა  
ქვეყანა უცდის მტკბარ-დროსა;  
ათბობს თვის მკერდში მცენარის  
ძირებს და აწედნეს საზრდოსა.

### II.

ძალა მოღლილის ერისა,  
მტარებლმა ასწონ-დასწონა

და რა სცნო მისი სისუსტე,  
თამამად დაებატრანა.

თან ეუბნება: „დაგზარავ,  
და გაგიწვარებ ბედსაო!  
შენ ძველებურად ამყად  
ველარ ამართავ ქედსაო!

შენის არსების კვალს მოვშლო,  
ტანჯვას დაგიღებ წესალო,  
ცხოვრებას შხამად შეგიცვლი  
და ტკბილ სიმღერას კენესალო!“

შეშინებული ამ გვარად  
ერი ბედს ემორჩილება:  
მაგრამ მოფრინავს იმედი  
მისკენ და ეჭურჩულება:

„არ გძლიოს ბედის მუქარამ,  
მომენდე, შემეწონეო,  
სადაც მე ვუხიზლობ, იმ ალაგს  
სიკვდილს არა აქვს ღონეო!

დღევანდელს ყოფას შეგიცვლი,  
მოგცემ ცხოვრებას უყვადესო,  
მტარებლს ესძლევი... შენვე მოგაფენ  
იმის დიდების შუქს თავსაო!“

იმედით გამხნეებული  
ერი მოვლისთვის ბედსა  
და გულში გამაფრთოვნებელს  
იზრდის და იზრდის იმედსა.

### III.

ღონე მოცეა გაზაფხულის...  
მზემ თვისი სხივი ღალისა

სოფელ-ქვეყანას მოჰყინა

და გული გაუხალისა.

მიწას გულ-მკერდი გაუთბა,

თოვლს შეებრძოლა, ელომა,

სძლია მწარ ომში... და მიწით

თავი ამოჰყო მდღელომა,

მწევანე შემოსა ხეები

ტბილ ვაზაფუხლის განგებით;

შეჰქნეს ფრინველებმა ჰიჰკიკი

ათასნაირი ჰანგებით.

კაცმა სთქვა: „ის შემცდარია,

ეინც ბედს უტყუელად სახავსო:

ვისაც რომ ტანჯვა უტღია,

იგი ლხენასაც ნახავსო!“

#### IV

იმედი გულში მომხნედა

და ნელ-ნელ წამოლორძინდა!

მონურად ხანგრძლივ ქედის ხრას

ხალხს, ძალ-მოცემულს მოსწყინდა.

ნელ-ნელ შემზადდა... გულს შხამი

შიგ ჩაიკუბა ზევიდა,

იფეთქა! დასცა მტარვალი!

თავს უპატრონა თავდა.

და თქვა მან: „უიმედობით

ნურგინ გაიტყეს გულსაო:

ბუნება ყველას უშზადებს

ცხოვრების ვაზაფუხელსაო!“

მ. ლ. პოლქვაძე

### საყურადღებო ამბები

**მ**ზობენ, რომ მათს უგანათლებულესობას თავადს ნიკოლოზ დავითის ძეს მინგრელსკის განუზრახავს ჩითის და ამერიკის საქსოვ ქარხნის გამართვა სამეგრელოში. მართლაც, რომ დიდი მნიშვნელობა ექნება ჩვენი მრეწველობის წარმატებისათვის ამ საქმეს, თუ რომ თავადმა მინგრელსკიმ დააბოლოვა იგი. დღეს ჩვენი ხელ-მოკლდე და უმიწა-წყლო სოფლის მუშაკნი ასობით იშოვიან ლუკმა-პურის სამუშაოს ამ ქარხნების მეხანებით და ეს დიდი შეძენა იქნება ჩვენი ქვეყნისათვის. დემეტრე ხელი მოაუშართოს მის კეთილ სურვილს. იმედი გვაქვს, რომ თავადი ნიკოლოზ მინგრელსკი, როგორც მამულის-შვილი და სამეგრელოს მთავართა გვარის სახელოვანი მემკვიდრე დიდ ყურადღებას მიაქცევს ახალ-ავტებულ ქარხნებში დედათა და მამათა სქესის მუშაკთა მდგომარეობას. ის შორს დაუჭერს მათი ნაშრომით სარგებლობას, კეთილ გულენას არ მოაკლებს, რომ მშრომელი ხალხი არ დაიხაროს და მისი შრომის შესაფერი სასყიდელი ეძღვოდეს. აგრეთვე ხომ დიდი მნიშვნელობა აქვს მუშაკთა ტან-მთელობაზე წმინდა ჰაერის ქარხანაში და მუშაკთა საბინაო ადგილ-სადგომის სისუფთავეს. ამასთანავე დღეს ევროპაში ყ-ველგან ცდილობენ, რომ მუშაკმა დღეში რვა საათზე მეტი არ იმუშაოს და ახალ-განდები თორმეტის წლის ნაკლები არ ამუშაონ. იმედია, ყოველსავე ამ გარემოებას თავადი ნიკო-

ლოზ მინგრელსკი მიიღებს მხედველობაში და ხალხს, როგორც ოდესმე მის სახელოვან წინაპართა ქვე-შეერდომს, მამობრივს ყურადღებას მიაქცევს. რაიც შეეხება მოთხოვნებს, არამც თუ ჩითისა და ამერიკის ქარხნები იხერებენ ჩვენში, არამედ თვით ქალაქის საკეთებელ ქარხანასაც დიდი მოგება ექნება, რომ ეინვე გამოჩნდებოდეს კიდევ სხვა ჩვენი მამულეთვაგანი ქალაქის ქარხანის გასამართავად.

\* \*

ამას წინად ბ-ნმა ქალანთარმა წარმოსთქვა სამეურნეო საზოგადოებაში ის აზრი, რომ საქორაო ჩვენ სოფლის მოხელობას და ხელოსნობას ყურადღებას მივაქცევდეთ და მათ წარმოებას დავაწინაურებდეთ. ვინ არ იცის, რომ ჩვენ ქვეყანაში მცხოვრებთა მომხრელების გამო სამუშაო მიწა თანდათან მცირდება, ასე, რომ კომლი გლენი ევლარ ირჩენს თავს, განსაკუთრებით მოიან ადგილებში, საცა სხნავ-სათესი ალაგებიც მომეტებულად ცოტაა და რაც არის, ისიც მწირია.

ევროპაში ამ გვარ ადგილებში, როგორც მაგალითად ტოროლის მთის ხალხში და შვეიცარიაში დიდი ხანია მცხოვრებლებს მიუყვით ხელი სურთა მოხელობისათვის და იმითი ირჩენენ თავს იქ მაგალითად ძალიან გავრცელებულია საათის ხელობა. ასობით და ათასობით ოჯახებში დიდი პატარა აკეთებს საათის სამკაულებს. ზოგი აკეთებს მხოლოდ საათის ისრებს, ზოგი საათის ბორბლებს, ზოგი საათის მართლებს, ზოგი ქედებს და ასხამს

სხვა-და-სხვა ლითონისაგან საათის სახურავებს და კრკალებს, ზოგი აკეთებს საათის მანჭელებს და ჭეებს. იმათ შვეიცარიის და გერმანიის ქალაქებში აჩენილი ჰყავთ მდიდარი საათის მექანიკნი, რომელნიც მილიონობით იღებენ ამ საათის შესაწყობად მასალებს, ყიდულობენ სოფლის ხალხისაგან და თვითონ შეაწყობენ საათებს და მერე ჰყიდიან აუარება საათებს, როგორც ევროპის ქალაქებში, ისე უკრაინაშიც. ჩვენი ქვეყნის ქალაქებში ხომ აესტეულია იქიდან მოტანილი გასასყიდი საათებით. ამ ხელობით იკვებება მილიონობით ხალხი ისეთ მითან ადგილებში, საცა ნიადგეს თათქმის არა მარტაჲს რა. ჩვენი მთის ხალხიც იძულებულია რაჲში, ლეჩხუმში, ხეში და ფშავ-ხეცურეთში მიჰყოს ხელი ასეთ რამე მოხელობას. დღისტრის ლეკები დღესაც ვაითქმელი არიან იარაღის ჭედით და რკინულ-სპილენძე ჯობის კეთებით. იმერეთში ბევრგან სოფლად დედაკაცები ქსოვენ შალის და მსხვილი ტულის საქარუნებს. ყოველს ამ ხელობას უნდა დაწარება, რამ მთის სოფლების ხალხის ნაწარმოებს კარგი ფასი დაედგას და გასავალი ჰქონდეს, რომ სოფლის მკეთებლებმა გააუმჯობესონ თავის წარმოება და ბევრიც აკეთონ ფულის მოსაგებად. ამ განზრახვით, როგორც შვეიცაჲეთ კავკასიის სამეურნაო საზოგადოებას კიდევ მოუპატეჩია მცენიერ

ხელოსანთა და მეურნეთა კრება, რომელთაც უნდა შეიმუშოონ წესი და რიგი; თუ ჩანაჩიად უნდა აღობინდეს და გავრცელდეს სოფლის ხალხში სხვა-და-სხვა ხელოსანობა და ხელ-საქმე-ნაკეთების წარმოება; ყველას ემჯობინება, რომ კავკასიის სამეურნაო საზოგადოება მიაქციედეს ყურადღებას ევროპულს ხელით-საქსოვებს და სხვა მრავალ-გვარ სახელოსნო მამონებს, გააცნობდეს იმათ სოფლის ხალხს გამოყენების გამართებით; გამართადეს სხვა-და-სხვა ალაგებში, საუილოკსურა და სხვა საქირა იარაღების საწყობებს.

\* \*

დაიბეჭდა მეორე პატარა სახალხო წიგნაკი: **სმ-სმ**, ისტორიული მოთხრობა ე. ბარნოვისა. ფასი ამ წიგნაკის არის 3 კაპეიკი. როგორც გვახსოვს, ეს პირველი მაგალითია ჩვენში, რომ ქართული წიგნი ღირდეს ასე იაფად. იმედია, ის პირები, რომელთაც იყისრეს ასე იაფი სახალხო წიგნაკების გამოცემა, ხშირ-ხშირად მიაწოდებენ ხალხს ასეთ იაფ ფასიან წიგნაკებს.

პირველი წიგნაკი „გადანას ლურჯა“ დაიბეჭდა 1200 ეგზემპლარი და სამ კვირაში როგორც შევიტყუეთ, სულ გაიყიდა. **სმსმ** დაუბეჭდეთ 2400 ეგზემპლარი.

„მოამბის“ პუბლიცისტკია

(№ 1 და 2)

(წერადაი შირაქული ჭეჭუნიახს)



ლაშის“ პირველ ნომერში მოთავსებულია ბან ნიკოლაძის ქრონიკა ქალაქის არჩევანების შესახებ. ავტორის უმთავრესი მიზანია გამოიკვლიოს ქართველების დამარცხება წარსულ წლის არჩევანებზე. ეს მიზნები ბან ნიკოლაძის აღმოუჩენია „ოპოზიციის“ მოქმედებაში (საბჭოში). ამისათვის ჩვეუც ვაიციოთ, თუ რას წარმოადგენდა „ოპოზიცია“, ანუ ქართველ ხმოსნების რაზმი (თუმცა სომხებზეც ვერც ვაიციოთ). ამ სამი წლის წინად ქ. ტფილისმა 20 ქართველი ხმოსანი გაგზავნა საბჭოში. ეს ამბავი ყველას ეუცხობავ; დაიწყეს მითქმა-მოთქმა, ძველ-ძიება, მწერლობამ თითქმის ერთნაირი აზრი გამოთქვა: ქართველებმა გაიღიძეს და დაამარცხეს სომხები. მხოლოდ ვახ. „ივერიაში“ დაიბეჭდა ერთი მაწინავე წერილი (ხელ-მოუწერელი), რომელშიაც

ეს გამოუხსნელი კენძი ადვილად ვახსნა. ავტორი ამბობდა: აქამდინ ქალაქის საქმეს პატრონობდა მოქალაქეთა შეძლებული ნაწილი, წელს კი სარბიელზე გამოვიდა ღარიბი ხალხი და მეტოქეობა დაუწყო შეძლებულთა რაზმს. ქართველი ხმოსნების არჩევა დაბალ ხალხის გამოფხიზლება, დემოკრატიის გამარჯვება იყო, მეტა არაფერიო. მართლაც, ეს რომ ერთნულთ ბრძოლა ყოფილიყო „ოპოზიცია“ ვერ შედგებოდა, რადგანაც ტფილისში სომეხთა რიცხვი მეტა, ვინც ქართველებისა (იხილეთ სტატისტიკა). სომეხი სომეხს ვათეთობდა და არა ქართველს. მეორე მხრით, „ოპოზიცია“ მოინათლა ქართველობის სახელით, იმიტრამ რომ ღარიბი, შეუძლო ნაწილის უმრავლესობა ქართველობა, ამას მისდევს მცირე ნაწილი სომხობისა და სხვა ხალხებისა. შეძლებულთა დიდს უმრავლესობას სომხობა შეადგენს. ცხადია, 1890 წ. ამომრჩეველები დაიყო ორად, თანახმად სმილდრე-სიღარბისა და არა ქართველ-სომხობისა, და, აი, სწორედ მესამე რიგის ამომრჩეველებმა (მაშინ სამ-რიგად იყო გაყოფილი: მდიდარი,

შუათანა შემღობისა და ღარიბი) ე. ი. დაბალ ხალხმა გაათეთრა „ოპოზიციის“ კანდიდატები. ამას თვით ბ-ნ ნიკოლაძეც გვეუბნება თავის წერილში, ამომრჩევლებმა დაგებაბარა; „რომ ეს ჩინი თფილის ქალაქი მარტო მდიდრებისათვის კი არ უნდა ზრუნულადეს. საწყალ ხალხსაც უნდა შეელოდნენ“ (135). ამ გეგმად, აშკარაა ის, რომ „ოპოზიცია“ არჩეულ იქმნა ღარიბი ხალხის მიერ დემოკრატიული პროგრამით. მას უნდა დაეცვა სარგებლობა და ინტერესება თვისი ამომრჩევლებისა წინააღმდეგ შემღებულ მოქალაქეთ წარმომადგენლებსაცა. აქ ეროვნება აზარერი მოსატანია.

აი, ამ გარემოებაში მარხია მიხეზი „ოპოზიციის“ გამარჯვებისა 1890 წელ. ახლა ვეკითხოთ: სად მარხია მიხეზი მისი დამარცხებისა (1893 წ.)?

გასულ წელს გაუთავდა ძველ საბჭოს ვადა და უნდა განახლებულიყო. „ოპოზიცია“ უნდა წამდგარიყო თავის ამომრჩევლების წინაშე, სამი წლის მოქმედების ანგარიში მიეცა და ეთხოვა ხელახლავე არჩევა. აი, აქ ტყდება ხიდი „ოპოზიციის“ ამომრჩევლები ხელ-ფეხ შებოკიელი და ენა-ჩაერდნილი დარჩა. ახალი დებულების წყალობით ღარიბ ხალხს ჩამოერთვა არჩევანის უფლება და ქალაქის თვითმმართველობა მდიდრებს ჩაბა და. ამით „ოპოზიციას“ გამოეცალა ნიადავა, მეთაურმა დაქარჯა სამოქმედო ასპარეზი, მწყემსი დარჩა უსამწყსოთ, ეს ნათელია დღესაუთ. ამას თუმცა გაკვირთ, ორი სიტყვით, ისწავლეთ ბ-ნი ნიკოლაძე, მაგრამ არაერთარ მისი შენელობას არ აძლევს, მაშინ როდესაც სწორედ აქ რხსნება კენი და საქმესაც ნათელი ეგონება. ბ-ნი ნიკოლაძე ამბობს „თვით-მართველობის საქმე, ელანდლის კანონის ძალით, უფრო შემძლე მოქალაქეთ აბარია“, მაგრამ ეს „უბრატესობა ავლენდა იმით (შეძლებულთ)—მითა საქუთარა ინტერესებისთვის—(?) ნაქმრ ისე წაყვეანათ, რომ მათ საქმეს, მათ მომავალი ინტერესს მოეკას და არა წაეგოს“ (იქ.). მეორე ალაკას ვეკითხოვთ: „რევნა მძლეულებმა შარშან კუთა წააკესო“ (129). აქ ბ-ნი ნიკოლაძე უსაყვედურებს ოპოზიციის გამშავებელთ: თუმცა ჩვენ თქვენი მტერი ვიყავით, მაგრამ ჩვენ უნდა ამოგვიჩიოთ, რადგანაც ჩვენს ამომრჩევლებს ამოარჩევის უფლება ჩამოერთვათო (132). ამით, რაკაცირეული, ბრძოლის ყოველივე წეს-რიგი ირღვევა და მის ალაკს იჭერს მთხოვრული ჭელის გაშვება: განმიკითხე და შემიწყალო. ეს იმას ჰკავს, რომ იქ, სადაც მოშა-დემოკრატიას კეჟის უფლება არა აქეს, ბურჟუთათვის რომ მიგმართა, ჩვენი კანდიდატები გაათეთრეთო. მაგრამ, როგორც ვეკით, ეს ასე არ მხდება, ავსტრიაში შარშან და ბოლგარიაში ამ

ორი წლის წინ დაბალმა ხალხმა მანიჟესტაციები და არეულობა მოახდინა: ჩვენც მოგვეცით ამომრჩევლების უფლებაო. იმათი მოთავთ რომ ბ-ნი ნიკოლაძე ყოფილიყო, ურჩევდა: მაკას თვით დანებეთ, ჩვენივეს მდიდრებაც კარგად იზრუნევეო. არა, ბ-ნი ნიკოლაძე, პოლიტიკაში საქმე ასე არ ჰკეთდება, ეს ხალხის და ინტელიგენციის თვალის ახვევია, სხვა არაფერი.

გასაკვირებელი ის არის, რომ თვითონ ბ-ნი ნიკოლაძე გვეუბნება: პოლიტიკაში, საერო საქმეებში მებზობლობა, ზნეობრივი ვალი... სრულიად უღონო ძალია, უნდა დავეუფლოთ მარტო ანგარიშს და სარგებლობასო (128—129) და ცოტა ქვეთ ტფილისის მაღალ ბურჟუზიას უქადავებს: ყველა თქვენი კაცი კი არ უნდა ამოუკრიხათ ხმოსნათ, ჩვენც უნდა გვრგებოდა რამეო (132). რატომ? განა მათი სარგებლობა ამას მოითხოვს? აშკარაა, რომ არა. მტრის გვერდით ამოგენა სადაღური ანგარიში? მართალია, ბ-ნი ნიკოლაძე გვარწმუნებს, მათი ინტერესები მოითხოვდა ჩვენი კაცის ამოარჩევას, წინააღმდეგ შემთხვევაში თაიხათ გარეშეშო უჭერი და მტრობა დათესესო. (130) ახირებულა ჩემა მზემ! სად და რომელ ქვეყანაში ერთი დასის გამარჯვება არ აძლიერებს მათ მოწინააღმდეგეებში შურს? რიცა, მაკ, საფრანგეთში, რადიკალი ამარცხებს ოპორტუნისტს, უეჭველია ეს უკანასკნელი მტრად უხდება პარტელს; მაგრამ არასოდეს ოპორტუნისტი ხეყვამულარებთო არ გამოევა რადიკალთა კომიტეტის წინაშე: რატომ თქვენ კანდიდატებს ათეთრებთ, მე გამოთერთეთო. სად და რომელ ქვეყანაში არ იცის, ბურჟუზიაში (მოქალაქებში), რომ მისი გამარჯვება იწვევს მტრობას დაბალ ხალხში? მიუხედავად ამის ის ყოველთვის ცდილობს მხოლოდ მან გაიმარჯვოს. ეს პარდაპირი მისი სარგებლობაა. ან, შეიძლება ბ-ნი ნიკოლაძეს მსურდეს ამ ორი ნაწილის ინტერესების მოათანებებ-მორიგება, დასაწილო ვერობაში ეს გენოსებმაკ ვერ შეძლებს. შეიძლება ბ-ნი ნიკოლაძემ მოახერხოს? მაგრამ ვაი, შენს მტრს!.. უკალი, ისმილოვის დასს უფრო კარგად ჰქონებთა შეწინებულ ბრძოლის ვითარება, ვინემ ნიკოლაძისს?).

რამდენიც უნდა გვარწმუნოს ბ-ნი ნიკოლაძემ და გზა-კვალი გვიბნოს, ჩვენ მაინც ვკითხველს მი-

\*) ბ-ნი ნიკოლაძე საბჭოს უუერებს ისე, როგორც გლასა მერქუნოსსე საკრეჟიშო მოკლანს. ამის შესახებ ის. აკვლდის: № 6, სადაც ბ-ნი მასკავლი ერთბა სმართლანდა სჯის. აქ ჩვენ არ გვეუბნებთ ამ ვითხეებს, რამქნინდ ბ-ნი მასკავლის მიერ უქმე განწყვლია.

უთითებთ იმ სინამდვილეზე, რომ „ოპოზიციის“ დამარცხების მიზეზი იყო დაბალი ხალხის განდევნა ქალაქის თვით-მმართველობისაგან. ამას რუსეთის ინტელიგენციამ პროტესტი გამოუცხადა იმით, რომ მრავალ ქალაქებში ხმასთან არჩევანებში მონაწილეობა არ მიიღო და ალავალავ კანდიდატთა საკმარისი რიცხვეც ევრ იშოვებს. (იხ. 1891—1893 წწ. „Русская Жизнь“ და „Русскія Вѣдомости“).

„მოამბის“ მეორე ნომერში დაბეჭდილია ბ-ნ ნიკოლაძის წერილი „ბანკის კრება“. ავტორი გვესაუბრება ქუთაისის „თავად-აზნაურობის“ (რიცხვით 48 წერილ ყოფილა. იხ. „ივერია“ № 24) გადაწყვეტილების შესახებ: მოისპოს ბანკის საქმეებში წევრთა პირდაპირი მონაწილეობა და მის მაგიერ შემოღებულ იქნას წარმომადგენლობა. დღეს ჩვენ საზოგადოებაში დიდი მოთქმა-მოთქმაა იმაზე, თუ რომელი სჯობს: ძველი წესი, თუ ახალი. ჩვენ ეიცით, როგორ გადასჭრეს ეს ქუთაისის ინტელიგენციამ და გახ. „ივერია“. ორივემ დასტური დაჰკრა, ახალი სჯობსო. (იხ. „ივერია“. № 11, 24 და 25) ბ-ნი ნიკოლაძე ამ საკითხზე განზე გახტულია, პირდაპირი პასუხი არ მოაუცი. მისი აზრით წესი, რომელიც იყოს სულ ერთია, ოღონდ ავულ-წრფელობა და პატიოსნება იქნას შეტანილი. ბ-ნ ნიკოლაძეს რომ ეკითხოთ: რომელი სჯობს, ქალაქის, საბჭოს ხმოსანები ყველა მოქალაქეთაგან ირჩეოდეს, თუ წარმომადგენლებისაგან, უთუოდ მოგიბებს: ეგ სულ ერთია, მხოლოდ გულ-წრფელი და პატიოსანი პირები კი იყვენ არჩეულნი; ბ-ნ ნიკოლაძეს რომ ეკითხოთ: გერმანიის რეისხტაგის დემპუტატი პირდაპირ ხალხის მიერ ირჩეოდეს, თუ მისი (ხალხის) წარმომადგენლებისამებრ? უეჭველია, გვიპასუხებს: ეგ სულ ერთია, ოღონდ გულ-წრფელობა და პატიოსნება კი იყოს დაკულიო; ბ-ნ ნიკოლაძეს რომ ეკითხოთ: საფრანგეთის პრეზიდენტი მემკვიდრეობით უნდა იქნას დაყენებული, თუ არჩევაით? რასაკვირველია, გეტყვის: ეგ სულ ერთია, ოღონდ გულ-წრფელი და პატიოსანი კაც კი იყოსო. ერთი სიტყვით, ეგ ორი სიტყვა თუ გაქვს კარგად გაზნებულელი, საქმე განალხულებია, წამალი ნაპოვნი, თხა და მგელი ერთად იძიოსო. ყველაფერი პატიოსნებაზე და გულ-წრფელობაზე არის დამოკიდებული, სხვა არა არის რაო. მაგრამ ერთი ეკითხოთ: რას შეიცავს ეგ პატიოსნება და გულ-წრფელობა? განა პატიოსნებით და გულ-წრფელობით არ იქცევა ქუთაისის „თავად-აზნაურობა“ და მისი ინტელიგენცია, როცა ისინი მთავრობას ემუდარებიან: დალუპა კალისტრატე ჩიკაძემ ქუთაისის თავად-აზნაურობა, მოამშველეთ რამე ნაირად, ხელ-ფეხი შეუბოჯეთ

ამ თავად-აზნაურობასო? განა გულ-წრფელი და პატიოსანი არ იყო სოლომონ მეფე, როცა ის სათათრეთს ეხვეწებოდა, მოამშველეთ ჯარიო? განა რუსეთის პუბლიცისტი კატკოვი გულ-წრფელი და პატიოსანი არ იყო, როცა ის ამტკიცებდა, არავითარი დასაყლებლური რეფორმები სჯარა არ არის, ძლიერ კარგე წყობილება გეაქვსო? სხვადა, ეს გულ-წრფელობა და პატიოსნება ორ-პირი მახვილია, ორივე მხრით მჭრელია; ერთის ხელში ბრუნდალ სჭრის, მეორის ხელში—სწორედ. მაშასადამე ეგ ევრ არის ენება-სარგებლობის საწყაო. ამ იარაღით ზოგს ზიანი მოაქვს, ზოგს სარგებლობა. იმისი თქმა, რომ „იყუ გულ-წრფელი და პატიოსანი“ ნიშნავს არაფრის თქმას. ბ-ნ ნიკოლაძეს ეკითხებიან, რომელი სისტემა საუკეთესოა ბანკისათვის, ძველი თუ ახალი: ის კი პასუხის მაგიერად დარიგებს იძლევა: იყუ უმანკო, ეითარცა მტრედლიო. ეს ბ-ნ ნიკოლაძის ჩვეულებრივი განზე გაბტამაა.

პატიცემული პუბლიცისტი ამასაც არ სჯერდება; იმას „საზოგადოებრივი მეცნიერების“ ფარხელი ხელში დაუტყრია და რიხიანად გვასწავლის: „ორივე წესს თავთავისი ავიც აქვს და კარგიცაა; განიერი თუ ეიქნებთ, ჭკიანად თუ მოვიხმართ ახალი წარმომადგენლობის წესი ჩინუაღჯა გამოკვდეგა“ (112. კურსივი ჩემია). მაშასადამე ბ-ნ ნიკოლაძესაც სასწორი თავის მსჯელობისა ახალი სისტემისაკენ გადაუხრია. ამისათვის ჩვენც გამოვარკვიეთ რამდენად არის ეს ჭეშმარიტება.

ბ-ნი ნიკოლაძე გვეუბნება: ბანკის კრებაზე ორი-ათასზე მეტ წევრი იკრებოდა და ამ სიმრავლისათვის დაუზრახლებიან აბრეულობაო. როდესაც ორი-ათასი ორასს გამოგზავნის, საქმე რიგინად წავაო. მაგრამ ავტორი ამ რიცხვითაც არ არის კმაყოფილი. ორასი ძალიან ბევრიაო. რაღაც მიუწოდებელი მოსაზრებით ჩვენი პუბლიცისტიც იმ აზრს დადგამია, რომ რაც ნაკლებ კაცის ხელში იქნება ბანკის საქმეების ჩხრეკა, მით უკეთესიაო. ამ გზას თუ გავყვით ბოლოს იქამდის მივალთ, რომ წარმომადგენლობასაც მოგსპობთ და „საქართველოს საერო საქმეს“ (?) რამდენსამე პირს ჩავაბარებთ. ბ-ნი ნიკოლაძეც ამის წინააღმდეგს ეერას გეტყვის; მისივე აზრით, წესი, რომელიც იყოს, სულ ერთია, და მეორედ, რაც ნაკლებ რიცხვთა ხელში იქნება საქმე, მით უფრო სასარგებლოა. რაკი ამდენზე მივიდა საქმე, ის არა სჯობია, რომ რამდენიმე კაცი დაგეინიშნონ და გეობანონ: ესენი გულ-წრფელი და პატიოსანი ხალხია და თქვენც აკაშენებნო. უეჭველია, ბ-ნი ნიკოლაძე „ეპას“ ძახილით მიეგვება „საერო



საქმის ასე კარგად მოწყობას\*). ჩვენ გვეუბნებიან: რადანაც ქუთაისის თავად-აზნაურობას თავისი საქმე წესიერად ვერ მიყავს, ამისთვის ჩამოერთვის უფლება პირდაპირი მონაწილეობის მიღებისა და წარმომადგენლები აირჩიონო. რატომ? იმიტომ რომ თუ ხე ძირში დამპალია, მისი შტოები და წვერი უთუოდ სალი იქნებაო. თუ მთელ თავად-აზნაურობას დაუკარგავს წესი და რიგი, უთუოდ ეს ურიგოანი რიგანი კაცებს აირჩევენო. საოცარი ლოლიკა! რაკი, ამ ოთხი წლის წინად საჟრანგეთის მთავალ-დებარტამენტებმა ბულანგის ხმა მისცეს, პუბლიცისტთა და მოღვაწეთ უნდა ეცერათ: დავილუბეთ, ხალხი ვერ ხმარობს კენჭს, ჩამოერთვის არჩევნის უფლებო. რაკი პარიკის პარლამენტში დებუტატთა უმრავლესობა ბურჟუები, მუშა-ხალხის მტერნი არიან, მაშ სოციალისტები უნდა ჰქადაგობდნენ: ხალხი ვერ არჩევს მტერ-მოყვარეს და კენჭს უნდა ჩამოერთვასო. მაგრამ, როგორც უწყის ბ-ნ ნიკოლაძემ, ასე არ იქცევიან. დამარცხებულნი იმავე ხალხში ავრცელებენ თავიანთ მოძღვრებას, უხსნიან, უმტკიცებენ, აერთებენ და სხ. ერთი სიტყვით მოკმელებენ. ბ-ნ ნიკოლაძეს და მის თანამაზრებებს ამ ნაირი ბრძოლა

განზე ვაღუგდით, უფსევების წამლობის მაგიერ წვერში დაუწყით ცქერა და აქედან გამოეღიან მანანას.

კიდევ ციოხათე ბ-ნ ნიკოლაძეს: რატომ უნდა გვეტროდეს, რომ ორი-ათასი ურიგო წვერი, ორასი რიგიანს წარმომადგენელს აირჩევს? რატომ უნდა იყოს ასი და ორასი წარმომადგენლის შესყიდვა და გადაბირება—ორი-ათას კაცზე უფრო ძნელი?..

ჩვენ აქ ვანებებთ თავს ბ-ნ ნიკოლაძის წერილების გარჩევას; ჩვენ აღენიშნეთ მხოლოდ უმთავრესი აზრები, გამოვარკვიეთ მისი თვალთა ხედვის ისარი. ორივე წერილს ერთი საჩუხლი უფებს, ერთ და იმავე დედა-ბოძზეა გამაგრებული. აი, ეს დედა ბოძი: უძნობა; უძიოქმელობა; სისკის სეღში შეცქერა; სისკისი იმედით ცხოვრება. კმარა. ჩვენ ეკალში არ ჩაუვდებოთ იმ ურიცხვ ერთიმეორის მოწინააღმდეგე აზრებს, რომლითაც ასე საესეა მისი წერილები.

„მომამის“ მეორე ნაბრძის სარედაქციო წერილები ჩვენ აღარ მოგვიხსენებია იმიტომ, რომ არაფერი მოსასწენებელია; ის ამბები, რაც ჩვენ გაზრთებში იყო დაბეჭდილი, რედაქციას ვადმოუბეჭდილარც მეტი, არც ნაკლები; ცოტა რამ უცხოეთიდანაც ვადმოუქართულებო და ქრანიეები შევანხლულა. ჩვენ ძლიერ ვაეცივრებებს ერთი გარემოება: ყურნალს სასტატუსტიკო განყოფილება არა აქვს. რედაქციის აღსარებაში (№ 1) ციოხულობთ: ჩვენი ქვეყნის ეკონომიური მდგომარეობა უნდა გამოიკვლიათო. ნეტავ რა ნიარა მჟსურს რედაქციას ამის განხორციელება უსტატუსტიკოდ?

რედ.

პ. ჰეტროძე.

### სასიამოვნო შემთხვევა

(გუგუზნი ხონის ტაძრის წახრობა)

**მ**ინ არ იცის, რომ ჩვენი დღესასწაულების წირვა-ცისკრის შეწეება და ჯავარი იყო ჩვენი ბუღის საეკლესიო გალობა. ისიც ვიცით, რომ დღევანდელი ჩვენი წირვა-ლოცვა ძვირად არის სადმე გალობით დაშენებული. იმერეთში სხვათა შორის გალობით და წირვა-ლოცვის სიმწვენიერით ნაქები იყო ხონის ტაძარი; მაგრამ მას მერმე, რაც იქ ვადიცივალა (1867 წელს) სიმონ-კუტი თირცხალეა, იქაც ნელ-ნელა ვაქტრა გალობა... დღეს ისეთ ბრწყინვალე დღესასწაულზედაც კი, როგორც არის

აღდგომა ქრისტესი და ადგილობრივი ტაძრის დღეობა, ოდესმე განთქმული ხონის გიორგობა, აქაური ტაძარი სამგლოვიარო სურათს წარმოადგენს. თუ არა მგლოვიარებას, სხეას რასა ჰგავს წირვა-ლოცვა უეგლობით?!


დიად, როცა გალობით განთქმული ტაძრებიც კი გლოვენ ჩვენში მათს ძველ მგალობლებს, ამ დროს როგორ წარმოვიდგენდი, თუ ბზობას, იმერეთში კი არა, ტფილისში, სამების ტაძარში, იმერული გალობის მოსმენით დევტკებოდი? თუ სული სულს შორიდანაც იცნობს, დღეს ჩვენთან ერთად იხარება და განსვენებული სიმონ მგალობელის სულიცა. სამების ტაძარში დღევანდელ მლოცველთა სუ-

ლის აღმადგენის ისიც იგონებდა. ჩემს წარმოდგენაში კი მისი ვალობის კილის ვაგონებამ იგი გააცოცხლა და მსმენელთა შორის გააჩინა... როგორც შეთავაზებულია მოახდინა ამ ვალობამ სხელებზე, რომელთაც სიმონ მაგალობლის სახელიც კი არ გაუგონებთ? ჩემთან იდგა სხვათა შორის ერთი მლოცველი, მოსრულის, ახვანის ტანისა (რაჭველი უნდა ყოვლილთვის), რომელიც სმენას არ სუჯერებოდა და თვლითაც უნდოდა დაინახა, კი არა ჩაემატა მაგალობელთა გუნდი. ისედაც ყველაზე მალალო, ის ფეხის წვერებზე დგებოდა, რომ სათითაოდ

გაერჩია მაგალობელნი და შეეპყრო ხმები... ნეტა რა დღისთვის ინახენ ხონის ტაძრის მოსამსახურენი და არ მოიხმარებენ ნოტების ცოდნას, რომ შეადგინონ ადგილობრივ მოსწავლეთა, თუ მასწავლებელთაგან მაგალობელთა გუნდი და დააშენონ თავიანთი წირვა-ლოცვა? ამით ხომ თავიანთ მოვლენებასაც აასრულებდნენ, მლოცველთა გულსაც მოიგებდნენ და იმ სიმონ-კეტის, მაგალობლის, რომელიც იქვე ასაფლავია, ხსოვნასაც პატივს სცემდნენ?!

10 აპრილს, ტფილისი.

6. წ.



### კალია და მისგან მანებლობა

(გუბერნიის სასს. დოქტორი ნ. გ. გამბეგველით)

**მ**ეღვრულ დროში კალიისაგან ქვეყანა ისე იყო შეშინებული, რომ იმის გაჩენა ლეთის რისხვად მიაჩნდათ. ამბობდნენ ღმერთი წყრომის ნიშნად კალიას გზავნის ცოდვილის ხალხის დასასჯელად. ზოგვან სწამდათ, ვითომ კალიის ფრთებზე სიტყვა: „ლეთის რისხვა“ აწერიათ. კალია ღირსი კია, ლეთის წინაშე, ასეთის სახელ-წოდებისა, მაგრამ ხსენებული წარწერა კი მოგონილია.

კალია სიხარბით სკაშს ყოველწარმო მცენარეულობას. ადგილი, რომელზედაც კალია გაივლის, ცუცხლისაგან გადამწეარს, გადატრუსულს მინდორს ჰკავს, სადაც ერთი ძირი მწეარე ბალახი არ მოიპოვება. მართალია, ხან-და-ხან გუნდი კალიისა ხეზე დაისვენებს და არაფერს სკამს, მაგრამ ეს იშვიათად მოხდება ხოლმე. გუნდი კალიისა ისე მძიმეა, რომ ხის ტოტები ხომ სიმძიმით ხანდა-ხან დამიტერევა, დააღწეწება ხოლმე. ამ საშიშარი მწერის შესახებ წარსულის საუკუნის ისტორიკოსები მოგვიხსენებენ, რომ კაცმა გერ კიდევ ერთ მოაოგონა ისეთი რამე იარაღი, რომლითაც კალიის წინააღმდეგ გამკლავება შესძლებოდა და დაეხოცა გაჩენის უძალე. მართლაც მოხერხდა წინაწარმეტყველმაც ევრაჟერა მოუხერხა ამ მწერს, როდესაც ფარაონ მეფობის დროს ეგვიპტეში გაჩნდა და გადაცალკეირა მცენარეებით შემოსილა მინდორები. ამას გარდა, წმინდა იერონიმე, როდესაც გალითერებული კალია მძინვარებდა და მუსრს აეღებდა ყანებს, შინით კანკალბდა, ლაულულობდა და ასე ამბობდა: „ეინა, უძლიერესი და უღონიერესი კალიისა, გარდა ლეთისაო“.

მართლაც, ისტორიიდან ვიცით, რომ კალიის გუნდმა დროებით შეაყენა დიდი ჯარი კარლ მეოთხრემეტსი ლაშქრობის დროსა, როდესაც ბესარაბიაზე გადადიოდა. ეს იმიტომ მოხდა, რომ გუნდი კალიისა, რომელიც წვიმის შეგ ღრუბელსა ჰკავს, მზის სხივებს გადაეღობა და მანამ ვადიგოიდა—სიბნელე დატრიალდა დედამიწაზე... გუნდ-გუნდად მფრინავის კალიის ხმა კლდეზე გადმომჩხრიალედ მდინარის შუილის გრეზავსება. მეცნიერთა თქმით, დახოცილის კალიის სუნით საშინლად იწამლება და ფუჭდება ჰაერი, რომელიც ათასწარის გადამდებს სენს აჩენს ხალხში და მჟუსრავს მას.

საიდან მოდის კალია და სად არის იმის საშობლო? წინათ ეგონათ, რომ კალია არაბეთისა, ოსმალეთისა და მცირე აზიაში ცხოვრებდა და იქიდან გადადიოდა სხვა ქვეყნებში. მაგრამ მეცნიერთა გამოძიებისა და გაოკლევის შემდეგ სულ სხვა გამოჩნდა. კალია მკვიდრობს, ბუღობს და მრავლდება ყოველგან, საცა ჰაობიანი ჰალებია, მდინარეების შესართეთთან და გაუთლი შამხნარით არის მოცული. ამ ჰალებში, როცა გვალი დადგება, კალია ძლიანი მრავლდება, გადადის საშობლო ადგილიდან და აქეთ-იქით მდებარე ადგილებს ევება. მცენარეებით სჭლად შემოსილის ჰალებში კალიის მეტად უყვარს ხტომა და სეირნობა, რადგანაც აქ, ბევრს საზრდოს გარდა, თავსაც იმაღავს მტრისაგან. კალიის მტრები, რომელნიც ქვემოდ იქნებიან დასახლებულნი, ძლიანი წყობიანი კალიის კვერცხების ჰამას, მაგრამ, ჩვენდა საუბედუროთ, ხშირად ვერ მიუღებებიან იმ ჰალებს, რომლებიც გაუვალის სქელი მცენარეებით არის შემოსილი. საშობლო კალიისა სწორედ ასეთი შამბით მოცული მიუღვამელი ჰალებია და ამიტომაც იქ მუდამ იცის კალია. რუსეთში ბევრია

ასეთი ადგილები და კიდევაც დაუთვარიელებათ. ჩვენ საქართველოში კი ამ მხრით ჯერ არაფერია გამოძიებული და გამოკვლეული, მაგრამ მეცნიერებს შეუძინებიათ, რომ კალია ბუდობს აგრეთვე მდინარის მტკერის შესართავში, კალიის საყვარელი ქალა ადგილები მდინარეების შესართავთან მდებარეობს, როგორც უკვე შევნიშნეთ. რუსეთში ასეთ ადგილებად ითვლება მდინარეთა ურალისა, ეოლგისა, კუმისა, მაინისა, ეგორლოისა, დონისა, კუბანისა, დნეპრისა, დნესტრისა და დუნაის ქალები, სადაც გუნდი კალიის მეტა-აკლებობით, რასაკვირველია, ყოველს წელს უნახავთ, კალია თავისთვის ცხოვრობს ქალაში და ქამს იმ მკენარეულობას, რომელიც არაფრისთვის გამოსადგვია. ამიტომაცაა, რომ ხალხი არ ეზრძვის კალიის ქალებში და არც ხოცავს, მაგრამ, ხშირად მომხდარა, რომ კალია, როდესაც ძლიერ გამოავლებულა, გადასულა ქალების საზღვრებზე და აუთვარებია ახლო მდებარე ადგილები. ასეთ შიშის ზარს გამოცდის ხოლმე ის ადგილები, რომელიც შემო-აღნიშნულ მდინარე-წყლებით ირწყვება. ამას გარდა, ხსენებულს ადგილებს მიჯნავს და საზღვრავს ასტახანისა, სტეფოპოლისა, სარატოვისა, სამარისა, ეკატერინოსლავისა, ხერსონისა და ბესარაბიის გუბერნიები, სადაც ქალები ბევრია და გუნდი კალიისა, გამოავლებულა რა ამ ადგილებში, ამოსულა და მოდებია მშრალ ადგილებსაც, სადაც დაუღვია კვერცხი და რამდენიმე წლით დარჩენილა იქ. გუნდი კალიის ფრენის დროს, თუ ისეთს ადგილში გადავიდა, სადაც ქალები არაა, დიდხანს ვერ დარჩება და ორს, სამს წელს შემდეგ სრულიად გაწყვება და გადაშენდება...

თბათვის უკანასკნელ დღეებში კალიის ფრენები ეზრდება და ნელ-ნელა ფრინავს. მკათათევსა და მარიამობის თევებში დასრულდება ხოლმე; ფრინველივით ფრინავს და კვერცხსა სდებს; ეწყვის თვეშიც, თუ კარგე დარი დავს, განაგრძობს კვერცხების დებასა. ამდროდან დაწყებული მისამდე კალიის კვერცხები მიწაში ძვეს. მისში, როდესაც ჰაერი გათბება, კვერცხებდან კუტი კალია გამოდის. ამ ცხრაათისთვის განმელობაში ბევრი მიხევის გამო კალიის კვერცხები ფუჭდება, ამიტომაც კალია ოსტატურათ დებს კვერცხებს მიწაში, — ინახავს და არიდებს მტრებსა; კვერცხების დება და შენახვა ქალეზში უფრო ეტრება. კუთოაც იქცევა: ქალეზი სქელი მკენარეებით არის შემოსილი და მტერი კალიისა ადვილად ვერ მოუღვება ამ ადგილს. აი, როგორც დებს კვერცხს კალია: მუცელზე კურტუმის პირდაპირ სადგისივით წვეტიანი ნემსტარი აბია. ამ ნემსტარს მიწაში ჩაასობს და ავეთებს ლერწმის სიმსხო

რძომს, სიგრძით ორ გოჯამდე; მერმე ორმოს გვერდება და ფსკერს ასეულებს წებოს ნაირი ლორწოთა, რომელიც მალე ხმება, მაგრდება და საჩუღივით ეცრის და გამოეუყრება შიგნიდან ორმოს ეს საჩუღი თითოი ქაღალდის სისქვა. როდესაც ორმოს გააკეთებს, შიგ დიდებს კვერცხებს, რიცხვით ორმოცდაათიდან ასამდე, სამს, ოთხს რიგად. კალიის ორმო სწორედ პარკს ჰგავს. როდესაც პარკი აიხება კვერცხებით, დედალი კალია ზემოდან დასახმს ქაფივით ზალაცა ტენქსა, რომელიც შრება და პრუპაკავით დაეცობა ხოლმე პარკსა. კალიის პარკი დამწიფებელი წაბლის ფერისაა; კვერცხი კი ყვითელი მოთეთრო ფერისაა; სიდიდითა და მოყვანილობით დიკის პურის მარკელისოდენია. ნაჭუჭი კალიის კვერცხისა საქმოდ სქელია. ამ რვათ ორჯელ დებს კალია კვერცხსა, თუ მშრალი და კარგი ამინდები დაედვა. კვერცხს რომ დადებს შემდეგ კალია ილაღვს, უძლურდება და, ჰაერი გაკლედება თუ არა, კვდება იმ ადგილზე, სადაც პარკები დაბანაწვა. საზოგადოდ, კალია ყველა ადგილებში დებს კვერცხსა და ყველგან კარგად ირყება კუტი კალია, თუ მტრმა არ მიავნო იმის პარკებსა და არ შესანლა. კალიის პარკები მხოლოდ ქალებში გადარჩება ხოლმე უვნებლად. მშრალ ადგილებში კი, თუ მშრალი შემოდგომაც დგას, ერთი პარკიც არ გამოეპარება კალიის მტრებს შეუქმელი. აი, კალიის მტრები: ცუცივი, თრია, თავეი, თხუნელა, ლალა, წერო, ტოროლა და მწყრები, რომელიც მშრალ შემოდგომაზე დედა-მიწაზე დარბიან და გაფიცვებით კტებენ კალიის პარკებს შესაქმელად...

წინათ ფიქრობდენ, რომ კალია მდინარის პირზე მდებარე ქალაში ვერ იცხოვრებდა და ვერ გამოავლდებოდა იმ მიხევის გამო, რომ იმ ადგილს, სადაც კალიის პარკი შენახული, გაზაფხულობით წყალი გადივლის და წალეკავსო. მაგრამ გამოცდილებამ დაარწმუნა სწავლელნი, რომ ეს აზრი მოკლებულია სიმართლესა. პირიქით, გაზაფხულის წყალ-დიდობა ხელს უშართავს კალიის და იცავს მტრისაგან იმის შენახულს პარკებს. ბ. ლინდმანის სიტყვით, რომელსაც კალიის ცხოვრება დაკვირვებით შეუსწავლია და ზედ-მიწვენი იცა, — ხშირად მომხდარა, გაზაფხულზე ქალებში თევობითა და ორი თევობით მდკარეოს მდინარიდან გადავარდნილი წყალი; მაგრამ, როდესაც ალაგი გამძღარა და გამაგრებულია მზისაგან, კვერცხებიდან მიწაში ნელ-ნელა, დღე-გამომეებით, გამოსულა კუტი კალია და ამ სახით გამოავლებულა. კალიის კვერცხებიდან გამოსელა ქალებში წყალ-დიდობას შემ-

დევ, ლინდემანს გარდა, სხვებსაც შეუნიშნავთ. კალია ჰდებს კვერცხებს ჭალების ყურეებსა, ბლიკა აუგლეებსა და მცენარეთ ფესვების ძირში...

ერთი დღის კუტი კალია დღეს არაფერს სკამს, მეორე დღეს კი სისხარბით ეტანება ყველა ქორფა მცენარის ფოთოლის ჭამას. კუტი ყმაწვილი კალია, თუ ძალიან ქორფა, ნორჩი მცენარე არ ნახა, შიმშილს არჩევს ორი-სამი დღით, მანამ მოჩიტებოდეს და ღონე მიეცემოდეს. კალიის ბუნებითი საქმელი როგორც პატარასათვის, ვეგრეთვე ღეროების, ქილი, ლელი და ღეროწამია. მცენარე ღეროების ღეროს ხელს არ ახლებს კალია, ფოთლებს კი მთელი ზაფხული სკამს, მანამ ასხია და არის. ამას გარდა კალიის საყვარელს საქმელს შედაკენს ჯეჯილი და მწვანე თაუთაიანი ყანა, რომელსაც, თუ მოასწრო სადმე, ფოთლიან-ღეროიან-თაუთაიანა შესკამს და მოინელებს.

დაბადებიდან სიკვდილამდე კალია გუნდ-გუნდად, ჯგუფ-ჯგუფად დადის და ცხოვრობს. როგორც ზემოთაც ვთქვით, კალიის გუნდი ერთს დღეს არ გამოდის კვერცხიდან; რაცხეი ახალ-გამოჩეკილი კალიისა თანდათან, დღითი-დღე მატულობს, მრავლდება და ერთი გუნდი მეორეს ეკვლდება და უერთდება. კუტს კალიას სიჩქარით ხტამა და ფრენა არ ეხერხება წინაპირველად. ეს იმიტომ, დაბეჯითებით ამტკიცებენ სწილეულები, რომ პატარაობისას კალია თითქმის ყრუა. დიდიბისას კი მენა ეხსნება, ერთი გუნდი კალიისა მეორეს ადვილად პოულობს, ერთად დაფრინავს და ამდროს საქმლის მადაც საოცრად ემატება; როდესაც მიფრინავს და საქმელს ეძებს, ერთი გუნდი კალიისა მეორეს აწეება უკანიდან და თითქოს მას ეუბნება: „გაღიარე ჩქარა, ჩვენც გავგებართვით, რომ რამე გიმოენათ საქმელადაო“. ერთი სიტყვით, კალია ცხერის ფარასავით იქცევა, როდესაც ეს ფარა აწევანებულ მინდორზე დგას და ჰძივს მწვანე ბალახსა...

გუნდი კალიისა უფრო ხშირად მიდის, მიფრინავს იქითკენ, საიდანაც ქარი მოჰქრის. ასეთი პირქარა სიარული კალიისა იმით აიხსნება, რომ ქარს

მოაქვს მისკენ ხელ-უხლებლათ მცენარეების სუნენილება და კალია ტყობილობს, სად უფრო კარგი საქმელია მისთვის დამზადებული. ამას გარდა ქარს მოაქვს უკან გუნდებთან ხმა იმ კალიისა, რომელიც დაწინაურებულია. აი, „ამიტომაც ხდება ხოლმე, რომ გუნდი კალიისა, ქარის დროს, ჭალებიდან ერთად ამოდის და მიფრინავს იქით, საიდანაც ქარი მოჰქრის. გუნდი კალიისა დღისით დადის და მოძრაობს; დღეში ოცდა-ოთხი ეგრისი მანძილი შეუძლია გაიაროს ფრენით. სჩანს, რომ კალიისა კარგი და ღონიერი ფრთები ბშია. მართლაც კალიას ოთხი ფრთა აქვს: ორი ზევით და ორიც ქვემოთ. ზემო ფრთები, თუმცა დიდა და სქელი, ფრენაში ცოტას შედის კალიას: უმთავრესი ძალა ქვემო ფრთებშია მოთავსებული, რომელიც გრძელია, წერილი, აქვს ბეგრი ძარღვები და მთელს ტანს ჰფარავს კალიისას. საღამოს რვა საათზე გუნდი კალიისა, როგორც ვაზილისა, აგრეთვე ახალგაზღსა თავს იყრის მცენარეების წვეროებზე და ღრმად ჰძინავს დღის ექვს საათამდე. დაღალულმა კალიამ უგონოდ იცის ძილი და ეგრაფერს გრძობს, მანამ ხელით არ შეეხებოთ. გუნდი გაზრდილის კალიისა მოწითაო ფერისაა და ჰგავს ზოგიერთა მცენარეების ქუჩუჩოსა და თეთვისს, როდესაც ჯგუფად ხის მცენარის კენწეროზეა. ასეთი ზეგავსება ხშირად შედის მას და იფარავს მტრისაგან. მაგალითად, ფრინველი ხშირად სტუტუდება: მცენარის კენწეროზე თავმოყრილი კალია მცენარის ქუჩუჩო ჰგონია და ყუჩადღებას არ აქცევს, როდესაც მალლიდან უტყვრის.

როგორც ვთქვით, მკათათეხსა და მარიაშობის თვეში კალია სრულიად იხდება, სრულდება და ფრთოვანდება, მაგრამ რადგანაც კალია ერთს დროს, არ გამოდის კვერცხიდან, არამედ სხვა-და-სხვა დროს ამისთვის ერთს დროს არ დასრულდება ხოლმე. ადრე გაზრდილი კალია თავს არ ანებებს კუტს ყმაწვილს კალიას, არამედ პატარაობს, აფარჯიშებს და უტდის მის გაზღასა და დაფრენას.

ს. ლონდაქ

შეგდგია იქნება)

„ანუ ამხელი ნამუსს!“

(სურათი სოფლის ცხოვრებადან)



მ დროს მამასახლისი გარეთ გაიხმეს.  
— რაო, ბიჭო! რა ამბავი მოიტანე?  
ჰკითხა იმან აჩქარებით დაბრუნებულს  
გზის.

— რა ამბავს მოიტანე? მაშინვე არ ვითხარბი?

უპასუხა გზობმა. „პრიტივი“-ს გაგონებაზე კინაღამ გული შეუწყუნდა, მერე მოთხრა—ღეთის კულისათვის ეერ წამბავალო, დამეხსენითო. მე ბეგრი ეელაპარაკე, ბეგრი დაუყურო კიდევ, მაგრამ იმან თავისი არ დიშალა.

— მამასახლისო! მოისმა ბოქაულის ხმა, რომელიც მოუთმენლობის კილო ემჩნეოდა.

— ვიახლები, შენი ჭირიმი! ამ სიტყვებით იგი ოთახში შევიდა. ბოქაული კარებში შეხვდა და აღეღებულმა გაფაციცებით დაუწყო სიტყვა.

— არ წამოსულა, ბატონო! ბოქაული ამიღერა.

— აბა, მამ შენი ხერხი სცადე; იქნება იმან ვასჭრას.

— აი, ვიახლებით! ქალაღი მიბოძეთ. თქვენც ქალაღდები დაწყეთ წინ შტოლზე, მითომ ჰსამართლობთ. აქ ახლო-მახლო გზირების მეტი არაიენ იქნება; რა წაშს შემოვა კარები მოიხუტება და თქვენ მარტო დარჩებით!..

ბოქაულმა ქალაღი დასწერა, მისცა მამასახლისს და, რა გამოისტუმრა იგი, თითონ მოუხუდა მაკიდას, რომელზედაც სამწერლო ნივთები ეწყო, ჩვენი ადმინისტრატორი ოცნებას მიეცა და ფიქრებმა მოიციეს მისი არსება.

## VI

ხანი გადიოდა. მამასახლისი არსად ჩნდა. ბოქაულს თანდათან აღეღება ემატებოდა, მოუსვენრად დარბოდა ერთი კუთხიდან მეორემდის, უსაგნოდ აფთურებდა ხელებს ჭეშვავისოდ იზმარებოდა. ერთი სიტყვით—მთელი მისი არსება მოუთმენლობას წაჩნობადგენდა. დასასრულ ველარ გასძლო ასეთს მდგომარეობაში და კარებს მიუახლოვდა. ამდროს მას შემოესმა გაუბედავი ხმა ქალისა, რომელიც ეილაკას ეუბნებოდა:

— მუხლები მიკაკალებს; ღეთის გულისთვის თავი დამანებეთ, არც აპეკუნობა მინდა და არც სხვა რამე. გამიშვით!—ბოქაული ამ ხმაზე მთლად აკანკალდა, საშინლად გაიზმორა და იქვე საეარქელზე დაეშო.

— შედი, შეილო, აქ არა ვარ?. რისა გეშინიან? კაცის მკამლები ხომ არ არიან? თქვა ეილაკის დაწვლეულმა ხმამ, რომელიც დედა-კაცს ეკუთვნოდა.

კარები გაილა და მის დირეზე გამაჩნდა შევეზში ჩაცმული მანდილოსანი, რომელსაც თავი ძირს დეხარა და ვერ ბედავდა ოთახში შესვლას. ბოლოს ეილაკამ ხელი ჰკრა ქალს, ფეხი გადაადმეცინა დირეს იქით—რა ჩემმა გამჩენმა ვაგაშეშა! გადადგი, რაღა, ეგ საოხრე ფეხები!... ამ სიტყვებით ოთახში შემოვიდა მამასახლისი.

— აი, ბატონო, ეს გახლავთ მაგდანა ხელი-უბნინათი, ნინიას ქერივი, რომელსაც თქვენ იბარებდით. რის წეალებით მოვიყვანე!... თქვა მამასახლისმა და წეალების ნიშნით შუბლზე მოისევა ხელი, ეითომ ოფლს იწმენდა.

ბოქაულს რილაკის თქმა უნდოდა, პირი გაალო,

მაგრამ ენა ევლარ მოატრიალა, მხოლოდ რაღაც წამოიღულღულა. საშინელი ფერი ედვა იმის სახეს, —ხან უნათლდებოდა, ხან უყვითლდებოდა. თვალგემში სისხლი მოეჩირა და საწარლად ამებლრა. მთელი მისი სხეული კანკალმა და ზმორებამ მოიცვა. რამდენიმე ხანი სიხუმე ჰსუფეცდა. ბოქაულს უყვირდა თავისი მდგომარეობისა. იგი ყოველთვის გაბედული იყო ამგვარ საქმეში და ახლო-კი ეილაკ ვამბობს დანახეზე ისე შეკოკა იგი უწაურბა ძალამ, რომ ვერაფერი მოახერხა სათქმელად. ბოლოს მოეჩირაბა ღონე, სულის სიმშვიდე და წარბოისქვა მკაცრად:

— ეს რა ამბავია შენგან? ვინა ბანდები, რომ ორჯერ მაგზანინებ კაცს შენ დასაძებელად? არ იცი, რომ ყოველთვის უნდა ემორჩილებოდე ჩინოენისკ? მაგრამ მოვეტოვება,—გლები-დედაკაცი ხარ. მამასახლისო სკამი მიუტა. ამ სიტყვებთან—ერთად ბოქაულმა ანიშნა მამასახლისს—სკამი მიეტანა მაგდანათისი და თითონ კი გასულიყო. მამასახლისმა ყველა ეს ძალიან მარტად და ჩუმად აღსარულა, ასე რომ მაგდანას ვერ შეუტყვია მამასახლისის გარედ გავსლა და კარების მოხურება—იგი იღვა თავიანუნილი და ვერ შეხვდა ბოქაულისთვის. მაგდანა მართლა რომ შესანიშნავი სილამაზისი იყო, თუ ტანით, თუ სახით, იგი წარმოადგენდა ნამდილის ტიას გლეხობის სიმეწიერისას—მხარ-ბეჭიანი, შევეკრე-მანი სახე და მყევილიეთ შევი მსხვილი თვლები; და, რასაკვირველია, ბოქაულისთანა კაცებს აღუძრავდა უზომოდ მხეცურ სურვილებს. ხანგრძლივი სიჩუმე ჩამოვარდა მამასახლისი რომ გავიდა, მას შემდეგ. ბოლოს ბოქაულმა შემდეგი სიტყვებით მიმართა მაგდანას და ცდილობდა ხმის მკეახე და უსიამოვნო გამომეტყველება მოეტკობა.

— მე შენისთანა ლამაზი ქალი ჯერ არ მინახეს!.. მაგრამ ერთი ზნე გვიკის—კაცებს არ ეკარები ახლოს.

ამ სიტყვებმა მაგდანას გულს ლახეარსავით დაუარეს. იგი წამოვარდა დაფეთებული საეარქელიდან, რომელზედაც, ის იყო, დაჯდა, მიიხედა მამასახლისისაკენ და, რა ვერ დანიხა იგი, მუხლები ჩეკეკს. ახლა მან თავისი თავი მარტოდ მხეშეში გაბმული იგარძნა. ამდროს მას მიუახლოვდა დაღრეჯილი სახით ბოქაული, რომელმაც შეხარ მითითოლგარე ხელი მაგდანას სხეულს. ამ მიკარებაზე—იგი ვაჭრულადა, და ელვასავით კარებს ეცა, მაგრამ, საუბედროოდ, გარედან ჩაეკტილი დაჰხვდა.

— ჰი, თქვე ურჯულოებო, გამყიდეთ?!—დაიძახა იმან სასოწარკვეთილებით. ჯერ ეს სიტყვები არ დაეთაგებინა, როდესაც უტყრად ოთახში სიხნელე ჩამოვარდა და მაგდანამ ბოქაულის მოხვეენა იგარძნა,

მაგრამ ელექტრონული სისწრაფით ხელიდან გამოვალა და მეორე კუთხეში გადატა.

— არ მომეკარო, ღეთის გულისათვის! ნუ ამხდი ნაჟუს, „პირიტავო“, აგრემც ღმერთი ცოლ-შვილს გიკოცლებს! მაგრამ ბოქაული ამ ვედრებაშიც ვერ მოატბო.

— მე შენისთანა „ქირო“ ძალიან მიყვარს! ტუჩების ცმაკუნით სთქვა იმან და გასწია ქალისკენ, მოაჭია მას ხელები და უნდოდა თავისი სუქანი ტუჩებით შეხებოდა მაგდანას ცეცხლივით გავარაღლებულს ლაყას, როდესაც გაისმა ლაწანი და ჩვენი პატრეცემული მოხვეუ წაბარბაცდა.

მაგდანამ გადასწყვიტა—თავისი სიცოცხლე აქ დავლია და არ დანებებოდა ამ მხეცს. სწორედ ამ გადაწყვეტილების ნაყოფი იყო ის მძლავრი სილა, რომელმაც ეს ევლური ადამიანი მოაშორა ქალს. ამას შემდეგ მაგდანა აღარ ერიდებოდა ბოქაულს, ყოველ იმის მოახლოებაზე, მედგრად ეტყერებოდა და ხმარობდა ყოველს ლანისძიებს, როგორმე დაესუსტებინა ბოქაული და ევლო ხელთ საშუალება გარეთ გამოსვლისა.

ბოქაული ღონით ძალიან სუსტი გამოდგა და ამასთანავე იგი დაღალა სულის მოძრაობამ და ენე-ბათა ღელვის ქარ-ტეხილმა; თანდათან სუსტდებოდა, ძალას ევლარ ატანდა მაგდანას, რომელიც სამაგიეროდ უფრო და უფრო ძლიერდებოდა და საშინელის თავ-განაწირულებით ეწინააღმდეგებოდა თავის მოპირდაპირის წადილებს.

ასეთია ძალი ხელ-შეუხებელის ზნეობისა, რომელმაც ეს ცხეარი დედაკაცი ძუ-ლომად გადაქმნა, რათა შეუბღალავად გამოსულიყო ამ განსაცდელისაკენ.

ბოლოს ჩვენი აღმინსტრატორი იქამდის დაიღალა, რომ იერაში ევლარ მიეტანა მაგდანაზე. ერთი მხრით მოხარულიც იქნებოდა, თუ ვინმე გავათავისუფლებდა იმას ამ აფთხის ხელიდან, მაგრამ მისდა საუბედუროდ, მშველელი არსად ჩნდა. რომ ევლარა ვაწყარა — მორთო ღრილი, „მამასახლისო, მიშველეთო“.

მამასახლისმა გაიგონა თავის მეუფროსის ღრიალი და, რა სწრაფი იგი გაჭირვებაში, იკადრა კარის ვალბა. მაგდანა სწორედ ამ წამის მომლოდინე იყო,

დადახტა კარებისაკენ, ეტგერა მამასახლისს, რომელმაც განიძრხა მისი შეკავება; ერის წამს შეაფერხა კიდევ, მაგრამ მაგდანამ რა იცნო მამასახლისი, სტაცა თმაში ხელი და დაუწყა ჯუნჯრუხი:

— აი, შე მეზაბლის გამყიდველო, ქვირთ-ობლის არ გამტანო! რაზე ჩაუღედ ჩემი თავი ამ მხეცს!? ბრალი თქენი — იარალი არა მაქვს, აქვე გამოაფეთო! შენზე და შენ ცოლ-შვილზე იყოს ჩემი და ჩემი ობლები ცოლად არა, შე გულ-კედრის შეილო, ისე როგორ გაიწყვიტე ნამუსი, რომ მოტყუებით მომიყვანე აქ! აი, ვაგოწყრეს იმ პურ-მარხილის მაღლი, რომელიც ჩემ ქმართან ჩაუხეტენია შენს ღორმუცელს! არ შეგარჩენო, არა, ჩემს ასე უწყალოდ დატარჯვას და ღვარჩის შეღახვას!.. ამ სიტყვებით მაგდანამ საშინლად დაიქნია მამასახლისი ქაჩრით, წააქცია იატაკზე და თითონ ელვასავით გამოეარდა გარეთ.

შემადრწუნებელს სურათს წარმოადგენდა მაგდანას არსება: თმა-გაწყწილი, დასისლიანებული სახე, დაფლეთილი ტანისამოსი სრულიად არ იცნობოდა. მას ხელში ეჭრა ერთი ეპოლეთი ბოქაულითისა და გალომებული მორბოდა შინისკენ ამ შუალამეში.

ასეთს მდგომარეობაში იგი შევარდა თავის სახლში და წელ-მოაწყვეტილი დეშევა იატაკზე. აქამდინ, როგორც იყო, შესძლო მისმა ბუნებამ აძღენი ვი-ივალახი, მაგრამ ახლა-კი უზომოდ დაქიმული ძარღვები მოუღულენდნ და გული შემოეყარა.

ესევე დავმათა ბოქაულსაც. არც ის იყო ნაკლებად გარუმბული. ბევრი რამ შესძლებია, დედაკაცის ძალას, მაღალი ზნეობით შეიარაღებულს!.. მაგრამ რა გამოვიდა? მართალია თავისის სინიღისის წინაშე მაგდანა წმინდა იყო, მაგრამ ხალხი? ხალხი რაღას იტყოდა? დაიჯერებდა იმის გმირულს საქციელს? ვინ იცის?

რასაკვირველია, მაგდანამ ამ საქმეს სასამართლოში გზა მისცა. საუბედუროდ ის ნაყოფი ქმონდა ამ საქმესაც, რაც ბევრს სხვას. საშიზღარი დამნაშავე ზოგიერთ ბატონთა დახმარებით უბრალო გამოდგა.

ილ. ელფორიძე

სექტემბერი 1893 წ.

ქ. თელავი.

სახუმართო ვასართობი

ა ღ უ უ უ !!



ოველ-გვარი ძველი ამბავი, რომელიც კი გადასულ დროს მოგვაგონებს და გვიხატავს მაშინდელ ზნე-ჩვეულებას, საქირო და სასუ-

რველია ჩვენთვის. ეს ყველასთვის უნდა! — მაგრამ ოცნების უკუღმართი ნაყოფი, რომ ეინმე ძველ ამბად მოგვაჩვენოს ზელში, მისი კი რა მოგახსენოთ?! არც სასურველი იქნება და არც სასაცილო. — სწორეთ ამ გვართავანია ის ძველი ამბავი, რომელიც „იერის“ № 75-ში დაუბეჭდათ. აი, მისი შინაა-

ასი: თ. გულბათი ჭკეჭავაძეს მოსამსახურედ ჰყოლია წერეთლის ნაყმეი. წერეთელს ჩამდენჯერამე წიანი გაუგზავნია ჭკეჭავაძისათვის: ჩემი ყმა დამიბრუნეო! ჭკეჭავაძეს პასუხი არ უღირსებოა. გულმოსული იმერელი შეიარაღებულა; უახლებია ორი ბიჭი და ჩაქრილა კახეთში; მიდგამია კარზე გულბათს, შეუტყენებია ეზოში ცხენი, აჭრილა კიბეზე. მიეარდნია მასპინძელს და აუტეხია ჩხუბი:

- თქვენ ხართ გულბათი?
- დიალ!
- თქვენთანა ჩემი ნაყმეი ბიჭი?
- დიალ.
- მიიღეთ ჩემი წერილი!
- დიალ. — მერე რატომ არ გამოისტუმრეთ.
- დიალ. და სულ ამგვარად...

მითმინებიდან გამოდგინილ სტუმარს ხანჯალს იღებს, რომ მოჰქლას მასპინძელი. დინჯე მასპინძელი მაშინ კი კადრულობს პასუხის მიცემას, იგი წყებს „დიალ“: ჯერ მეწეი და საქმეზე მერე ვილაპარაკებო. გამიართება ღმინი, შემდეგ წერეთელს ყმა ავიწვდება და ბრუნდება იმერეთისაკენ.

სწორე მოგახსენოთ, ეს ამბავი ძალან გვიხატავს: ძველებურ დროს, დიდ-ოჯახის შეიღებს, მათ ზღილობას, სტუმარ-მასპინძლობას და სხვანი!.. თურმე ის პანპულობა, რომელსაც დღეს „კინტრობას“ ეძახიან, პირდაპირ ნაშთი ყოფილა ჩვენი ძველი დროებისა!.. მართალი ნათქვამია: „სიბერემდის სიქარლეს ელოდვო“. ჩვენ სულ სხვებ გვქონდა შესწავლული და წარმოდგენილი ძველებურ დროს!.. ღმერთმა უშეგლოს „იეროას“, რომ თვალში ავიხილა!.. მაგრამ ჩვენ კი ჯერ მაინც თვალ-ახელილიც ვერ მიმხედარვართ და ვერ წარმოგვიდგენია ეს უბრალო საქმე!.. ერთი მხრით, ჭკეჭავაძე, კახეთში განთქმული და გამოჩენილი გვარის შელი, მეორე წერეთელი, არა ნაკლებ იმერეთში ცნობილი, რომელიც მეფის ბრძანებზედაც არ ამხატებოდენ ელქვეთ, „ასკი-კუქუს“ თანამზენი და კინტრობით ვტყვიან ერთმანეთს! — ერთის ნაყმეი თუ მეორესთან მიედა და მოსამსახურედ დაუდგა, ეს შესძლებელია; ძველ ბატონს რომ ეწყინა და შეუთვალა ჭკეჭავაძეს, ყმა დამიბრუნეო, ესეც ყველა დასაჯერებელია, მაგრამ ჭკეჭავაძე რომ წერეთელს პასუხს არ აძლევდა, ეს კი საეჭვოა!.. ზღილობის წინაწმდეგია და ჩვენი ძველები კი განთქმული იყენ საზოგადოდ ზღილობით. შეიძლება გვარში გამოცხროს ერთი უზღელი როგორმე, მაგრამ ის კი გულბათი არ იქნებოდა, როგორც იმაზე გავიგონია. — წერეთელს გული მოუვიდა, შეიარაღდა, იახლა ორი ბიჭი, თვის საელზე, სახეროდან ყვარელში წვინი და იქ ჩხუბი აუტეხა. — საკვირველია, დღი ოჯახის

შვილები ერთი საათის სავალზედაც არ წავიდოდენ, თუ მხლებლები არ ეყოლებოდათ თან და ის წერეთელი კი ორი ბიჭით, ვინ იცის, საიდან სად მიდის?.. ჩვენ ვგონია, რომ მოურავსაც არ გაგზავნიდენ მაშინ ორი ბიჭის ამარად!..

დაუჯეროთ რომ ყოველივერი ასე მოხდა!.. იმაზე რალა ვთქვათ, რომ იმერელი და კახელი ერთმანეთს შეხებდებან სტუმარ-მასპინძლად, ჩვეულებრივს მოკითხვის და ზდილობით სიტყვა პასუხის ნაკვალავითმანეთს ბიბარუთა ჰხდინან?, იმიშელა ხანჯალი წერეთელმაო!.. ძველ კაცებზე შეიძლება, რომ ესთქვათ, იმიშელა ხმალიო, რადგანაც ჩვეულებად გვქონდა მტერზე მისვლა და თავისიანთა ამოღება და ტერიალი დღევანდელი გმირების საქმეა და არა ჩვენი წინაპრების!.. ცხადია, რომ აეტორი დღევანდელ შემთხვევას გეწერს. სადმე თვალს მოჰკრავდა, რომ ვინმე წერეთელი და ჭკეჭავაძე კინტრობდენ — დამის ოცნებას ძველ დროში გადაუტანია... დიალ, გადაუტანია და ცუდიც უნებებია. ჩვენი ძველები შეურაცხყოფა და მათი უმიზეზოთ საცინად ავღმება, არაფერი ისტორიკოსობა და მკვირ-მეტყველობა... ეს ამტკიცებს მხოლოდ ბავშურ ალუფუს!

ცხა<sup>ა</sup>

რედაქტორ, გამომცემელი ან. თ. წერეთლის.

## განხილვა

ტყეილისის ქალაქის გამკვება

აქბადებს საყოველთაოდ, რომ 27 აპრილს, 1894 წელს, დილის 12 საათზე დანიშნულია ქალაქის გამგეობის დარბაზში იჯარით გაცემა პარობის ტყეარზე მუხრანისა და რიყის ქუჩებ შუა 1 იანვრიდან 1894 წ. სამი წლის ვადით. პარობების შეტობა შეიძლება თვით ქალაქის გამგეობის კანცელარიაში დილის 10 საათიდან 12 საათამდის.

(4—4)

## ОТКРЫТЬ ВНОВЬ СКЛАДЪ

Посудь въ башмачномъ и литейномъ ряду; продажа разныхъ фарфоровыхъ, фаянсовыхъ и стекляннхъ товаровъ по фабричнымъ цѣнамъ въ магазинѣ

Я. А. Давурова